ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 62

ქალაქი ქუთაისი 25 მარტი 2026 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის“ გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების დანართის 4[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 28 მარტის №2 ოქმისა და ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 აპრილის №3 ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. გაიცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის“ დიდი ქართველი პოეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

მუხლი 2. წინამდებარე განკარგულება გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლის“ სამეურვეო საბჭოს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო • საქართველო

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
მას. № 62
„25“ 03 2026 წ.